საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030613926072119

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

#06/523 **13 / თებერვალი / 2019 წ.**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის რექტორს
პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას

ბატონო ზურაბ,

მოგეხსენებათ, რომ აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრებთან, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციასა და სხვა საერთაშორისო პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავებული იქნა საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო სტრატეგია, რომელშიც უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია დაავადების ადრეულ გამოვლენასა და სკრინინგს. აღნიშნული სტრატეგია ითვალისწინებს სკრინინგული ღონისძიებების ფართოდ დანერგვას და მოსახლეობისათვის მისდამი ხელმისაწვდომობის გაზრდას, სხვადასხვა სახელმწიფო, არასამთავრობო თუ კერძო ორგანიზაციების აქტიური ჩართულობის გზით, როგორც ორგანიზებული კონტინგენტის და რისკ-ჯგუფების კვლევის, ასევე რუტინული სკრინინგული პროცესების დაწყების გზით.

C ჰეპატიტის სკრინინგის პოპულარიზაციისა და მოსახლეობისათვის ამ სერვისისადმი გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 7 სექტემბრის N454 დადგენილების საფუძველზე, სსიპ „ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა“ 2018 წლის ოქტომბრიდან სსიპ „იუსტიციის სახლის“ 12 ფილიალში დაიწყო C ჰეპატიტზე მოსახლეობის საყოველთაო უფასო სკრინინგის პროექტი სახელწოდებით „საჯარო სივრცე C ჰეპატიტის ელიმინაციის სამსახურში“. აღნიშნული პროექტის მიზანია, იუსტიციის სახლის ვიზიტორებს, სხვა სერვისებთან ერთად, ერთი ფანჯრის პრინციპით მიეწოდოს C ჰეპატიტის სკრინინგის უფასო სერვისი, რათა საქართველოს მოქალაქეებმა დამატებითი ძალისხმევის გარეშე შეძლონ C ჰეპატიტზე სკრინინგის ჩატარება, ინფიცირების სტატუსის გასარკვევად.

იუსტიციის სახლში C ჰეპატიტზე მოქალაქის სკრინინგი 3 წუთიანი პროცედურაა, სკრინინგის შედეგი მოქალაქეს ეცნობება იმავე დღის ბოლოს მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით, მის მიერ მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე.

აღნიშნული პროექტით მოქალაქეებს ეძლევათ უნიკალური შანსი დამატებითი დროისა და ფინანსური დანახარჯის გარეშე ჩაიტარონ C ჰეპატიტზე უფასო სკრინინგი და ინფიცირების დადებითი სტატუსის იდენტიფიცირების შემთხვევაში, ჩაერთონ მკურნალობაში და განიკურნონ.

C ჰეპატიტზე სკრინინგული კვლევებისადმი ფინანსური და გეოგრაფიული ბარიერების მოხსნის მიუხედავად, ამ დაავადებისადმი და ზოგადად ჯანმრთელობის საკითხებთან მიმართებაში ჩვენი მოქალქეების ცნობიერების დაბალი დონიდან გამომდინარე, წარმატების მიღწევა შეუძლებელია აქტიური საკომუნიკაციო კამპანიის გარეშე. შესაბამისად, იუსტიციის სახლების ვიზიტორების C ჰეპატიტის სკრინინგის პროექტში ჩასართავად მოზიდვისა და საინფორმაციო კამპანიის წარმოების მიზნით, ჩვენი თხოვნის საფუძველზე აქტიურად იყვნენ ჩართულები თქვენი უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები. აღნიშნული ინიციატივის მხარდაჭერის მხრივ, სხვა ფაკულტეტებთან ერთად, განსაკუთრებით გამორჩეული იყო

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტ-ახალგაზრდობა, რომლის მაგისტრი ბატონი გიორგი ბაიდოშვილი ამავდროულად არის ცენტრის C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამის კოორდინატორი და უშუალოდ არის ჩართული „იუსტიციის პროექტის" მართვასა და მის წარმატებაში. დროის მოკლე მონაკვეთში, თქვენი უნივერსიტეტის სტუდენტების აქტიური ჩართულობით შესაძლებელი გახდა იუსტიციის სახლებში ჩატარებული სკრინინგების რაოდენობის გაორმაგება.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, გვინდა გულწრფელი მადლობა გადაგიხადოთ უშუალოდ თქვენ და ყველა იმ ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს, რომლებმაც სრულიად უანგაროდ მიიღეს მონაწილეობა ამ მნიშვნელოვანი პროექტის რეალიზაციაში, თუმცა დასახული მიზნისგან ჯერ ისევ შორსა ვართ და გამოვხატავ ღრმა რწმენას, რომ თქვენი უნივერსიტეტი კვლავაც აქტიურად გააგრძელებს ამ პროექტში მონაწილეობას და ერთობლივი ძალისხმევით, 2020 წლისთვის შევძლებთ C ჰეპატიტის ელიმინაციის ამბიციური მიზნების მიღწევას.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ამირან გამყრელიძე